**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**

ქართული ენა და ლიტერატურა

**პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ტელ. 555689888
ელ.ფოსტა avtandil.nikoleishvili@gmail.com

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** ძირითადი (Major)

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში
Bachelor of Arts in Philology

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:**
აკადემიური ხარისხის მისაღებად ბაკალავრიატის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი;
საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 5 კატეგორიას მოიცავს:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 15 კრედიტი;
- საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი;
- ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის გათვალისწინებული კურსები - 15 კრედიტი;
- პროგრამის სავალდებულო კურსები - 110 კრედიტი
- არჩევითი კურსებისათვის - 20 კრედიტი;
- დამატებითი სპეციალობისათვის - 60 კრედიტი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (თავი 8, მუხლი 52)

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**
სტუდენტთა მომზადება ზოგადფილოლოგიური მიმართულებით; საბაზისო მოთხოვნათა შესაბამის დონეზე ქართველურ ენათმეცნიერებასა და

ლიტერატურათმცოდნეობაში ცოდნის მიღება; ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ძირითად საკითხებსა და ქართველოლოგიის ზოგად პრობლემებში გაცნობიერება; დარგის პრობლემატიკის შესასწავლად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება; პრაქტიკული საქმიანობისათვის და მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად მომზადება.

სწავლის შედეგი:

- ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრიატის კურსადმთავრებულს ექნება საბაზისო ცოდნა ქართულ ლიტერატურასა და ქართველურ ენათმეცნიერებაში. გააცნობიერებს დარგის კომპლექსურ საკითხებს ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში.
შეძენილი ექნება საბაზისო ცოდნა: ფილოსოფიაში; ისტორიულ მეცნიერებებში; კლასიკურ ფილოლოგიაში; ენათმეცნიერების შესავალში; ლიტმცოდნეობის შესავალში; თანამედროვე ქართულ ენაში (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ძველ ქართულ ენაში, ქართული ენის დიალქტოლოგიაში, ქართული ენის ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკაში; ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში;ზოგად ენათმეცნიერებაში, ძველ ქართულ ლიტერატურაში; XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; XX და XXI საუკუნეთა მიჯნის ქართულ ლიტერატურაში; ქართულ ფოლკლორში; რუსთველოლოგიაში; ტექსტოლოგიაში; ლიტერატურის თეორიაში; ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.შეისწავლის უცხო ენას არანაკლებ B-1 დონეზე.
განუმტკიცდება მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება, შეეჩვევა სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობას, შეძლებს ლიტერატურათ-მცოდნეობითი და ლინგვისტური წყაროების, ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულ შეფასებას, ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი პოზიციის გამოხატვასა და დასაბუთებას;
დარგობრივ პრობლემებს განიხილავს ერთ მთლიან ისტორიულ, ფილოსოფიურ და კულტურულ კონტექსტში;
დაეუფლება ინტერნეტით მასალის მოძიების მეთოდებს.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები:

მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება წინასწარ განსაზღვრულ მითითებათა შესაბამისად;
ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, ქართული ლიტერატურის, ლიტერატურის თეორიის, ფოლკლორის, ტექსტოლოგიისა და ლიტერატურული კრიტიკის საბაზისო საკითხების გააზრება, ახალ ინფორმაციებთან დაკავშირება და სათანადოდ შეფასება;
შეძენილი საბაზისო ცოდნის საფუძველზე დარგის კომპლექსური საკითხების გამოცნობა, ჩენება და ახსნა;

პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
ლიტერატურულ და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით გამართულ განხილვებში მონაწილეობის მისაღებად მომზადება;

- დასკვნის უნარი

ფილოლოგიის დარგში ძირითადი პრობლემების ფორმულირება, ცალკეულ თემებთან დაკავშირებით მონაცემთა ბაზის შექმნა, სისტემატიზაცია, განზოგადება, სინთეზირება და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადოდ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
შესაბამის მითითებათა საფუძველზე შესწავლილი მასალის ინტერპრეტაცია და შეჯამება დარგობრივი სფეროსათვის შესატყვის მეთოდთა გამოყენებითა და თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

- კომუნიკაციის უნარი:

ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებთან დაკავშირებით წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხო ენებზე;
პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარ შეხედულებათა პრეზენტაცია, განმარტება და დაცვა;
ქართულ და უცხო ენებზე სპეციალური მასალის მოძიება, საჭირო ინფორმაციის შეკრება, სისტემატიზაცია და შეჯამება.

- სწავლის უნარი

დროის დაგეგმვა, ორგანიზება, პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა და საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება;
მიმდინარე პრქტიკული მეცადინეობების, შუალედური დაფინალური შეფასებების შედეგების შესაბამისად საკუთარი სწავლის პროცესის ადეკვატურად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებათა დადგენა.

- ღირებულებები:

პროფესიული ეთიკის დაცვა და სხვათა დამსახურების ობიექტურად და კეთილსინდისიერად შეფასება;
ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ლიტერატურული, მეცნიერული და სხვა სახის მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა;
ჰუმანისტურ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად.

კომპეტენციების ცხრილი:

| | | დარგობრივი კომპეტენციები | | ზოგადი კომპეტენციები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ცოდნა, გაცნობ. | ცოდნის პრაქტ. გამ. | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| საგნები | უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა I | + | + | | + | | |
| | უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა II | + | + | | + | | |
| | უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა III | + | + | | + | | |
| | მეორე უცხო ენა | + | + | | + | | |
| | შესავალი ფილოსოფიაში | + | + | | | | + |
| | შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში | + | + | + | + | + | + |
| | შესავალი ისტორიის მეცნიერებებში | + | + | + | | + | |
| | შესავალი ქართულ ფილოლოგიაში | + | + | + | + | | |
| | ენათმეცნიერების შესავალი | + | + | + | + | | |
| | ლიტმცოდნეობის შესავალი | + | + | + | + | | |
| | ზოგადი ენათმეცნიერება | + | + | + | + | | |
| | თანამედროვე ქართული ენა 1 | + | + | + | + | + | + |
| | თანამედროვე ქართული ენა 2 | + | + | + | + | | + |
| | თანამედროვე ქართული ენა 3 | + | + | | + | | + |
| | თანამედროვე ქართული ენა 4 | + | + | | + | | + |
| | თანამედროვე ქართული ენა 5 | + | + | | + | | + |
| | თანამედროვე ქართული ენა 6 | + | + | + | + | | + |
| | ძვ. ქართული ენა | + | + | | + | | + |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქართ. ენის დიალექტოლოგია | + | + | | + | | + |
| | ქართ. ენის ლექსიკოლოგია | + | + | | + | | + |
| | ქართ. ენის სტილისტიკა | + | + | | + | | + |
| | ქართ. სალ. ენის ისტორია | + | + | | + | | + |
| | ძველი ქართ. ლიტერატურა 1 | + | + | + | + | + | + |
| | ძველი ქართ. ლიტერატურა 2 | + | + | + | + | + | + |
| | მე-19 საუკ. ქართ. ლიტ-რა 1 | + | + | + | + | + | + |
| | მე-19 საუკ. ქართ. ლიტ-რა 2 | + | + | + | + | + | + |
| | მე-20 საუკ. ქართ. ლიტ-რა 1 | + | + | + | + | + | + |
| | მე-20 საუკ. ქართ. ლიტ-რა 2 | + | + | + | + | + | + |
| | მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნის ქართული ლიტერატურა | + | + | + | + | + | + |
| | ქართული ფოლკლორი | + | + | + | + | + | + |
| | რუსთველოლოგია | + | + | + | + | + | + |
| | ტექსტოლოგია | + | + | | | + | |
| | ლიტთეორია | + | + | + | + | + | + |
| | ქართ. ლიტ. კრიტიკა | + | + | + | + | + | + |
| | ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის ცენტრები | + | + | + | | + | |
| | მეტყველების კულტურა | + | + | + | + | | + |
| | სპეცკურსი ქართულ ლიტ-ში | + | + | + | | | + |
| | სპეცკურსი ქართულ ენაში | + | + | | + | | + |
| | ქართული მითოლოგია | + | + | + | + | + | + |
| | შედარებითი ენათმეცნიერება | + | + | | + | | |

**დასაქმების სფერო:**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს შეეძლება იმსახუროს სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, არქივებში, რედაქციებში, გამომცემლობებში, ტელევიზიებსა და რადიოში, თეატრის ლიტერატურულ განყოფილებაში, კერძო სექტორში, ტურისტულ სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ა. შ.

პროგრამის სასწავლო გეგმა :

| კურსი | სკ | ლქ/პრ/დამ | ECTS | სემესტრები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (15 კრედიტი) | | | | | | | | | | | |
| უცხო ენა | | | 15 | 5 | 5 | 5 | | | | | |
| უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა I | 5 | 0/75/50 | 5 | 5 | | | | | | | |
| უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა II | 5 | 0/75/50 | 5 | | 5 | | | | | | |
| უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა III | 5 | 0/75/50 | 5 | | | 5 | | | | | |
| საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი) | | | | | | | | | | | |
| შესავალი ფილოსოფიაში | 3 | 30/15/80 | 5 | 5 | | | | | | | |
| შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში | 4 | 30/30/65 | 5 | 5 | | | | | | | |
| შესავალი ისტორიის მეცნიერებებში | 3 | 30/15/80 | 5 | 5 | | | | | | | |
| შესავალი ქართულ ფილოლოგიაში | 3 | 30/15/80 | 5 | 5 | | | | | | | |
| ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები (15 კრედიტი) | | | | | | | | | | | |
| ენათმეცნიერების შესავალი | 2,5 | 22/15.5/87 | 5 | | 5 | | | | | | |
| ლიტმცოდნეობის შესავალი | 2,5 | 22/15.5/87 | 5 | | 5 | | | | | | |
| ზოგადი ენათმეცნიერება | 3 | 30/15/80 | 5 | | | | | | | | 5 |
| პროგრამის სავალდებულო კურსები (110 კრედიტი) | | | | | | | | | | | |
| თანამედროვე ქართული ენა 1 | 2 | 15/15/95 | 5 | | 5 | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თანამედროვე ქართული ენა 2 | 3 | 30/15/80 | 5 | | | 5 | | | | | |
| თანამედროვე ქართული ენა 3 | 3 | 30/15/80 | 5 | | | | 5 | | | | |
| თანამედროვე ქართული ენა 4 | 3 | 30/15/80 | 5 | | | | | 5 | | | |
| თანამედროვე ქართული ენა 5 | 3 | 30/15/80 | 5 | | | | | | 5 | | |
| თანამედროვე ქართული ენა 6 | 3 | 30/15/80 | 5 | | | | | | | 5 | |
| ძველი ქართული ენა | 3 | 30/15/80 | 5 | | | | | | 5 | | |
| ქართული ენის დიალექტოლოგია პრაქტიკით | 3 | 30/15/80 | 5 | | | | | | 5 | | |
| ქართული ენის ლექსიკოლოგია | 2 | 15/15/32,5 | 2,5 | | | | | 2,5 | | | |
| ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა | 3 | 30/15/80 | 5 | | | | | | | | 5 |
| ქართული სალიტერატურო ენის ისტორია | 3 | 30/15/80 | 5 | | | | | | | | 5 |
| ძველი ქართული ლიტერატურა 1 | 3 | 22/23/80 | 5 | | 5 | | | | | | |
| ძველი ქართული ლიტერატურა 2 | 3 | 22/23/80 | 5 | | | 5 | | | | | |
| მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა 1 | 3 | 22/23/80 | 5 | | | | 5 | | | | |
| მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა 2 | 3 | 22/23/80 | 5 | | | | | 5 | | | |
| მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა 1 | 3 | 22/23/80 | 5 | | | | | | 5 | | |
| მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა 2 | 3 | 22/23/80 | 5 | | | | | | | 5 | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნის ქართ. ლიტ. | 3 | 15/30/80 | 5 | | | | | | | | 5 |
| ქართული ფოლკლორი პრაქტიკით | 3 | 22/23/80 | 5 | | 5 | | | | | | |
| რუსთველოლოგია | 3 | 15/30/80 | 5 | | | | 5 | | | | |
| ტექსტოლოგია | 2 | 15/15/ 32,5 | 2,5 | | | | | 2,5 | | | |
| ლიტთეორია | 3 | 23/22/ 80 | 5 | | | | | | | 5 | |
| ქართული ლიტერატურული კრიტიკა | 3 | 15/30/ 80 | 5 | | | | | | | 5 | |
| **პროგრამის არჩევითი კურსები (20 კრედიტი)** | | | | | | | | | | | |
| **არჩევითი კურსი** | | | 20 | | | | | | | | |
| ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის ცენტრები ძვ. საქართველოსა და უცხოეთში | 3 | 30/15/ 80 | | 5 | | | | | | | |
| მეტყველების კულტურა | 3 | 15/30/ 80 | | 5 | | | | | | | |
| II უცხო ენა - 1 | 5 | 0/75/50 | | | | 5 | | | | | |
| ქართული მითოლოგია | 3 | 30/15/ 80 | | | | 5 | | | | | |
| II უცხო ენა -2 | 5 | 0/75/50 | | | | | 5 | | | | |
| სპეცკურსი ქართულ ლიტერატურაში | 3 | 30/15/ 80 | | | | | 5 | | | | |
| სპეცკურსი ქართულ ენაში | 3 | 30/15/ 80 | | | | | 5 | | | | |
| II უცხო ენა -3 | 5 | 0/75/50 | | | | | | 5 | | | |
| შედარებითი ენათმეცნიერება | 3 | 30/15/ 80 | | | | | | 5 | | | |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები** | | | 60 | | | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 |
| | | სულ | 240 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
ა) შუალედურ შეფასებას;
ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწელეობს აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი: სრული პროფესორი - 11; ასოცირებული პროფესორი - 14; ასისტენტ პროფესორი -10; მოწვეული სპეციალისტი -2.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატება უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალური რესურსებით: საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკებით (წიგნადი, ციფრული); ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის დეპარტამენტების კაბინეტებით; საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კომპიუტერული ცენტრებით; კეთილმოწყობილი აუდიტორიებით; სასწავლებისათვის აუცილებლად საჭირო სხვა სასწავლო-მეთოდური მასალებით.